

ყვარლის

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი



მარიამობა:

მართლმადიდებლური სამყაროს დღესასწაული – რა უნდა ვიცოდეთ ამ დღესთან დაკავშირებით

მართლმადიდებელი სამყარო 28 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში საღვთისმშობლის ნივთიერება-ლოცვა შესრულდება.

ქრისტიანულ სამყაროში ყოველწლიურად სამების შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იხილება. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი – ღვთისმშობლის შობა, მიძინება და ყოველწლიური მარიამის ტაძრად მიყვანება უშუალოდ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი.

მარიამობის დღესასწაულს წინ ორკვირიანი მარხვა უძღვრება, რომელიც 14 აგვისტოს დაიწყო და 28 აგვისტოს დასრულდება. ეკლესიის ისტორიაში ამ მარხვის დანერგვის ზუსტი თარიღი უცნობია. უცნობია, ასევე, როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული.

საკლესიო სწავლებით, ღვთისმშობელს მისი მიძინების დღე უფალმა მთავარანგელოზ გარბიელის მიერ ახარა, რომელიც მას ზეითისის მთაზე ლოცვისას გამოეცხადა. მთავარანგელოზმა დედალ-

ვითას ამცნო, რომ სამი დღის შემდეგ მიძინებდა. ამის დასაბამად კი სამოთხეში დარგული ფინიკის ხის ტოტი გადასცა, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა. იგი მის საფლავთან უნდა მიეტანათ. ღვთისმშობლის სურვილისამებრ, უფალმა საქა-დაგებლად ნასული წმინდა მოციქულები მიძინების დღეს ღვთისმშობელთან გამოსამშვიდობებლად შეკრიბა. უფალმა ასევე ისმინა ღვთისმშობლის თხოვნა, რომ არ ეხილა ჯოჯოხეთის საშინელებები და ღვთისმშობლის სული ცათა სასუფეველში თავად უფლის ხელით ავიდა.

ყოველწლიურად ღვთისმშობელი მოციქულებმა გეთისმინის ქვაბულში დაკრძალეს. ამ პროცესს თომა მოციქული არ ესწრებოდა. მესამე დღეს მოციქულებმა მისთვის ქვაბულის ლოდი გადააგორეს და აღმოაჩინეს, რომ ღვთისმშობელი უფალმა მკვდრეთით აღადგინა და ხორციტ ზეცაში აღამაღლა. ამიტომ ეკლესია ღვთისმშობლის აღსასრულს მიძინებას უწოდებს.



რთველის საკოორდინაციო შტაბის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პრობლემური საკითხები განიხილეს

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ რთველის საკოორდინაციო შტაბის წარმომადგენლებთან შეხვედრა და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს რთველისათვის მზადების მიმდინარეობისა და ორგანიზებულად ჩატარების საკითხები.

თათბირს ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ქვეციშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გივი ზაუტაშვილი, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები სოფლებიდან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი მამუკა ბერიძე და მთავარი სპეცია-

ლისტი, საკოორდინაციო შტაბის წევრი ლევან კურტანიძე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა ანდრო ალხანიშვილმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ვალდებულებაა ვენახების აღრიცხვიანობა მოვანესრიგოთ და შევქმნათ ბაზა, რომლის მეშვეობით განხორციელდება მონიტორინგი. მევენახეებს დაურიგდებათ და მომავალი წლიდან ყურძნის ჩაბარება მხოლოდ ვენახის პასპორტით განხორციელდება. ამიტომ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა სოფლებში მოსახლეობას ინფორმაცია უნდა მიანდოთ აღნიშნული სიახლის შესახებ. განსაკუთრებით ყუ-

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

სპორტული კვირულით ყველა კმაყოფილი დარჩა

ზაფხულის თაკარა მზემ და საშინლად მაღალმა ტემპერატურამ ადამიანებს ცხოვრების ხალისი დაუკარგა, მხოლოდ უთენებელზე იყო შესაძლებელი სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება. დიდი და პატარა შენუხებული იყო ჯერარნახული უსაშველო გვალვის გამო.

10 აგვისტოს ხანგრძლივმა, მოფუფუნე და ხანაც ღვართქაფად წამოსულმა წვიმამ ფლორა-ფაუნა გამოაცოცხლა და ადამიანებმაც შეგებით ამოიუნთქეს.

უფლის მიერ ნაბოძებმა სასაოფლო-საოჯახო ადამიანებს რწმენა დაუბრუნა და ახალი ენერჯით აღივსინა, რამაც დაუმთავრებელი საქმეების ბოლომდე განხორციელება შეაძლებინათ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ მოსახლეობის გართობისა და დასვენების, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით გადაწყვიტა სპორტული კვირული გამოეცხადებინა და ილიას ტბაზე მიიწვია მსურველები სპორტულ ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად.

11 აგვისტოს იყო დაანონსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კვირულის სტარტი, „ილიას“ ტბაზე, მაგრამ უამინდობის გამო სპორტის სასახლეში გადმოინაცვლა და დარბაზიც ქომაგებით შეივსო.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის ოპოზიციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით ქვეციშვილი, თავმჯდომარის მოადგილე დავით მათიკაშვილი, საქართველოს პარლამენტის ლაოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი.

სპორტული კვირული კონცერტით დაიწყო და მასში მონაწილეობდნენ ანსამბლი „ხეურო“ (ლოტბარი ირაკლი მათიკაშვილი), ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“ (ქორეოგრაფი ნინო ჩიხიძე-აშვილი), ქორეოგრაფიული ანსამბლი „კავკასიონი“ (ქორეოგრაფი ფერლანდ მუხტაშვილი), ტრიო „თოლია“ (ხელმძღვანელი იოსებ ლალიაშვილი), ანსამბლი „ნაინა“ (ხელმძღვანელი ნანა ჩიხიძე-ვილი), მომღერლები მარი ხარბაშვილი, ეთი შავგულიძე და სალომე ლევდაშვილი. საკუთარი ლექსი ნაიკითხა სოლოდა იოსებთან. კონცერტი მიჰყავდა მანანა ავაშვილს.

კონცერტის შემდეგ გაიმართა მატჩი მინიფეხბურთში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებით დაკომპლექტებული გუნდი და შილდის ახალგაზრდული ნაკრები.

საქართველოს პარლამენტის ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდნენ მიხეილ ყველაშვილი, დავით მათიკაშვილი, კობა ნარჩემაშვილი და მამუკა აბუსერიძე. პირველი ტაიმი დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა და პირველი ორი გოლი პარლა-



მენტარებმა გაიტანეს, მაგრამ შილდელმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მეორე ტაიმი გაარდატყბა შეიტანეს და საბოლოოდ გამარჯვებით დაამთავრეს.

მეორე დღეს სპორტული კვირული ილიას ტბაზე გაგრძელდა, სადაც სპორტულ ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან 200 მსურველი მოვიდა. სხვადასხვა ასაკის ადამიანები ერთმანეთს სპორტის 5 სახეობაში უწევდნენ მეტოქეობას. კონკრეტულად შეჯიბრი გაიმართა 2500 მეტრ დისტანციაზე სირბილში, მინიფეხბურთში, ფრენბურთში, ნარდში და დომინოში.

სპორტის ყველა სახეში დაპირისპირება მეტად დაძაბულ, საინტერესო და ემოციურ ფონზე მიმდინარეობდა და მსურველებთან მონონებაც დაიმსახურა.

აღნიშნვის ღირსია ის ფაქტიც, რომ მონაწილეთა ყველაზე უმცროსი 7 წლის

გიორგი როზომავილი იყო, რომელმაც 2 კილომეტრამდე მანძილი დაფარა, ხოლო ყველაზე ხანდაზმული 77 წლის ვალერი ზურაბიანი, რომელიც მამუკა ბერიძის მოთამაშეთა შორის მოხვდა და მხოლოდ ფინალში გადასასვლელი შეხვედრა დათმეს.

სპორტული კვირულის ჩემპიონები გახდნენ: კროსში (2500 მეტრ დისტანციაზე) გიორგი შიშვილი (საბუე), დომინოში – ზურაბ ცაგარელი – აბო ვარდაიშვილის წყვილი (ახალსოფელი), ნარდში მალხაზ მირზიკაშვილი (ყვარელი), მინი ფეხბურთში – შილდის გუნდი და ფრენბურთში ახალსოფლის ნაკრები.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარჯვებულებს მატერიალური ნახალისების მიზნით ფულადი ჯილდოები გადასცა.

ალექსანდრა გიგილოშვილი





როგორ უნდა შეუწყოს ხელი ორსულმა ქალმა თავის თავს, რომ ჩვილი მუცელში ნორმალურად ჩამოყალიბდეს?

ჯანმრთელი და ნორმალური ბავშვის ჩამოყალიბება იწყება მუცლად ყოფნის დროს. აუცილებელია მოითხოვოს ორსული ქალი 12 კვირაზე დადგეს აღრიცხვაზე ქალთა კონსულტაციაში, რათა დროულად მიიღოს გინეკოლოგიური მითითებები და რჩევები, თუ საჭირო გახდება მკურნალობის ჩარევა, რათა ბავშვი ნორმალურად განვითარდეს გონებრივად, ფსიქომოტორულად და ფიზიკურად. ეს არის პირველი და აუცილებელი ფეხმძიმე ქალისთვის.

ხელოვნური კვების დადებითი თვისებები.

... გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას

„ბავშვი სათავა, დასაწყისი დიდის ადამიანისა“ – უთქვამს ბრძენს. ჩვენი ნინარები ბავშვის დაბადებას ყოველთვის თოვების სროლით ხვდებოდნენ, თუ ვაჟი დაიბადებოდა, ხომ ზღვა სიხარული იბუდებდა ოჯახში, რადგან ის იყო მათი გვარის გამგრძელებელი. ყველათვის სასიხარულოა ბავშვის მოვლა ამ ქვეყანაზე. მაგრამ მარტო დაბადება როდია, დღიდან მოვლისა, მას ყოველთვის ხელშეწყობა სჭირდება, რათა ჯანმრთელად დაიბადოს ჩამოყალიბდეს. იბადებინა ისეთი, რომელთა მკურნალობასაც მთელი წლები სჭირდება. თუ რა მდგომარეობა დღესდღეობით ბავშვთა მოვლის თვალსაზრისით, ჩვენს რაიონულ საავადმყოფოში ამ თემაზე გვესაუბრება შპს „უნიმედი კახეთის“ ყვარლის ბავშვთა განყოფილების ექიმი პედიატრი, ქალბატონი ლიანა იმედიანიძე, რომელიც წლებია ბავშვთა ჯანმრთელობის სამსახურშია.

ქალბატონი ლიანა, ყველა კარგად ვიცით, რომ იმ პერიოდში სადელიტონი ინსტიტუტი ჩაბარება ნარმოუდგენელი იყო. თქვენ და თქვენს დამ, ქალბატონმა მარინამ, რომელიც თელავის რაიონის პედიატრიაში მთელი სამდელიტონი განათლება საქართველოს ფარგლებს გარეთ. როგორ მოხდა ეს?

რა თქმა უნდა ეს იყო ჩვენი ყოველდღიური სწავლისა და გარეშის შედეგი. დედა, ქალბატონი მელი იმერლიძე იყო წლები მუშაობდა ყვარლის რაიონულ საავადმყოფოში ბუღალტრად და რომ ხედავდა ახალგაზრდა თეთრხალათიან ქალბატონებს და მამაკაცებს, ძალიან უნდოდა ჩვენც ექიმები გამოსულიყავით. და აი, დადგა ის დღეც, როდესაც ჩვენ მივაბურეთ ლენინგრადის (ახლანდელ სანკტპეტერბურგის) სამედიცინო ინსტიტუტს, რადგან საქართველოში ძალიან რთული იყო მოწყობა. ჩვენმა შრომამ გაამართლა და ორივე ერთად ჩავირიცხეთ პედიატრიის ფაკულტეტზე. იქვე გავიარეთ ინტერნატურა და ერთი წელი პრაქტიკის თვალსაზრისით ვმუშაობდით ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში. სამწუხაროდ, უშაბოდ დარჩენილი ოჯახური პირობების გამო, დაგბრუნდით საქართველოში, ჩვენს რაიონში. სოფელ ჭიკანში კარგა ხანს ვიმუშავე პედიატრად.

თქვენი მუშაობის რთულ მომენტებს თუ გაისინებდით?

თავიდან, სანამ მივეჩვეოდით დამოუკიდებელ მუშაობას, იყო სირთულეები ავადმყოფ და ჯანმრთელ ბავშვებთან კი არა, უფრო მათ მშობლებთან. ზოგიერთთან საჭირო იყო ბევრი საუბარი ჩვილის მოვლის, კვების და ა.შ. საკითხებზე. ავადმყოფი ბავშვის გამოჯანმრთელება ხომ დიდი სიხარული და ბედნიერება მშობლისთვის. ამ მხრივ კარგი პრაქტიკაც მივიღე. სხვა ისეთი სერიოზული სირთულე ჩემს მუშაობაში არ მქონია.

ფეხბურთი დაავადებების განვითარების რისკს ამცირებს

კომპლექსური უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ფეხბურთი ძალიან სასარგებლოა არანაგავიძვე, 63-დან 75 წლის ასაკის მამაკაცებისთვის. ფეხბურთი ამცირებს გულსისხლძარღვთა დაავადებებისა და შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს. მკვლევარები მამაკაცებს ერთი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ყველა მოხალისე ვარჯიშობდა 52 კვირის განმავლობაში. მონაწილეების უმრავლესობა კვლევის დასრულებიდან 2 წლის შემდეგაც აგრძელებდა ერთმანეთთან ფეხბურთის თამაშს კვირაში 2-ჯერ. ანალიზმა აჩვენა, რომ ფეხბურთის თამაშის დანახვებიდან 4 თვის შემდეგ, მამაკაცთა გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა 15% გაუმჯობესდა. გარდა ამისა, მოხალისეთა შრომის უნარი გაუმჯობესდა 43%, ხოლო ფუნქციური შესაძლებლობა გაიზარდა 30%-ით. ერთი წლის შემდეგ სხეულის მასის ინდექსი შემცირდა 3%-ით.

ჩვენი ბავშვების რა თქმა უნდა, უპირატესია თუქთა კვება, რომელსაც ვერაფერი ვერ შეედრება. ეს არის ყველაზე სრულფასოვანი კვება, ადვილად ათვისებადი, ხელს უწყობს ბავშვის ჰარმონიულ და ინტელექტუალურ განვითარებას. ამავე დროს ხელს უშლის დიაბეტის, რაქიტოსა და ანემიის განვითარებას. საიმედოდ იცავს კუჭ-ნაწლავის და სხვა დაავადებებისაგან, აყალიბებს დედისა და ბავშვის ერთმანეთისადმი მგრძობილობის კავშირს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ რაღაც მიზეზების გამო ვერ ხერხდება თუქთა კვება, მაშინ ბავშვმა უნდა მიიღოს აუცილებლად ადაპტირებული რძის ნარევი, რომელიც მიახლოებულია დედის რძის შემადგენლობასთან და ერთ-ერთი ყუბათიანი საკვებია ბავშვისთვის.

ხშირია რაქიტო დაავადებულობა დაბავშვის რიცხვი. რა არის ამის მიზეზი?

მისი მიზეზი პირველ რიგში კალციუმის დეფიციტია ორგანიზმში. ჩვილის ზრდის პერიოდში იზრდება მთლიანობა კალციუმზე. მის შესავსებად კი საჭიროა ბავშვებს დაენიშნოს ვიტამინი D3, რომელიც არეგულირებს ორგანიზმში კალციუმისა და ფოსფორის ცვლას, ძვლების მინერალიზაციის ზრდის პროცესს, ოვლიანობის ერთ-ერთი მიზეზიც კალციუმის დეფიციტია.

ვატარების უმეტესობა ვერ იტანს ცხელ ზაფხულს.

დიახ, ხშირია ზაფხულში კუჭ-ნაწლავის ავადობა. ძალიან ტემპერატურაზე ირღვევა ნაწლავებში საჭმლის მოხლეობის პროცესი, ხელს უწყობს ნაწლავში არიების წარმოქმნას, იწვევს საზაზს, მშობლებს განსაკუთრებული ყურადღება მართეთ, რომ ზაფხულის ცხელ მზეს მოერიდონ ბავშვები, არ მისცენ გაურეცხავი ბოსტნეული, ხილი, მკაცრად დაიცვან ბავშვის ჰიგიენური წესები.

მეტუქურ ქალებს ვურჩევდი, რომ მათთვის აუცილებელია რაციონული, სრულფასოვანი კვება, დასვენება, ძილი, რათა შეინარჩუნონ ძუძუთა კვება, რადგან იგი ხელს უწყობს საშვილოსნოს შეკუმშვას, ამცირებს მასტიტის განვითარების რისკს, ხელს უშლის დაფეხმძიმებას მშობიარობის შემდეგ. ამავე დროს ამცირებს მკერდის კიბოსა და საკვერცხეების ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკს, ამავე დროს ზოგადად ოჯახის ბიუჯეტს. ასე, რომ გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას.

ქალბატონო ლიანა, ვიცით, რომ ამ დღეებში საოპტიმულო სამზადისში იყავი, ჩვენც ვუერთდებით ამ საოპტიმულო, სასიხარულო დღეს და გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ! ჯანმრთელობა და წარმატებები ჩვენი პატარების სასიკეთოდ.

ესაუბრა დალი ტატალიძე

ბულინგი – ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა

ტერმინი „ბულინგი“ ინგლისური სიტყვაა და ქართულად ჩაგვრას/აბურჩად აგდებას ნიშნავს. ეს არის არასასურველი, აგრესიული სახის ქცევა, რომელიც უმეტესად ვლინდება სკოლის ასაკის ბავშვებში. „ბულინგი“ სოციალური მოვლენაა, რომელიც, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, დამახასიათებელია ძირითადად ორგანიზებული ბავშვთა კოლექტივისათვის და პირველ რიგში ეს არის სკოლა.

ბულინგი ერთ – ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში. იგი თითქმის ყოველი ეპოქის თანმდევი მოვლენაა წარმოადგენს, თუმცა ბულინგის პრობლემის აქტუალურობა განსაკუთრებით ბოლო ხანებში გაიზარდა.

რა შეიძლება იყოს წინაპირობა ბულინგის წარმოშობისა? „ფიზიკური დევნებები, სოციალური სტატუსი, განსხვავებული რელიგიური მონათესავე, განსხვავებული შეხედულებები ხშირად მოზარდებში დამამცირებელი მოპყრობის, სიძულვილის ენით ურთიერთობის და ზოგჯერ ფიზიკური ძალადობის მიზნით კი ხდება. ყველაფერი ეს სათავეს მინიჭებს არასწორ აზრობიდან იღებს, რაშიც ოჯახი მოიხარება, თუმცა, გარემო ფაქტორებსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გამოირკვა, რომ ბულინგის გახშირების ხელისშემწყობი ფაქტი კომპიუტერიზებული თამაშებიც არის. განსაკუთრებით პრობლემური ასაკი 10-დან 18 წლამდეა. არც თუ იშვიათად, ბავშვს, რომელიც თავადაა ძალადობის მსხვერპლი, იგივეს იმეორებს სხვა სივრცეში. ამიტომ ბულინგის პრევენციისთვის დასვა გამოსავალი არ არის. საჭიროა ისეთი პოლიტიკა ოჯახებშიც და სკოლებშიც, რომელიც კონფლიქტს არაძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის“.



ნაგებლებს, მშობლებს, საკუთარ და – ძმას. თანატოლებთან ურთიერთობისას ცდილობს თავისი ძალა გამოამჟღავნოს, პრობლემების გადაჭრის დროსაც უპირატესობას ძალისმიერ გზას ანიჭებს. ბავშვ – აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ და თავიანთ გარემოში სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ.

ძირითადად ბულინგის დაყოფა ხდება ოთხ ტიპად:

1. ფიზიკური ბულინგი – ბულინგის ყველაზე ძალადობრივი ფორმა, რომელიც გულსისხმობს ფიზიკური ზიანის მიყენებას ან მის მცდელობას. მისი ფორმები: ჩხუბი, თმის მოქაჩვა, პირადი ნივთების განზრახვა დაზიანება და სხვა.

2. ფარული ბულინგი – ეს არის მორალური და ემოციური ძალადობის ფორმა, რომელიც პირდაპირ არ არის

ერთი საერთაშორისო კვლევა, შესაბამისად იზრდება ინტერესი და ყურადღება ამ ფენომენის მიმართ. საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევა გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) 2007 – 2008 წლებში ჩაატარა. გამოკვლევის თანახმად, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მთლიანობაში, ბავშვთა 80% განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. სკოლაში უფრო ხშირია ბავშვთა შორის ძალადობა. ბულინგის ასეთი მაღალი მაჩვენებელი შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ ეს მოვლენა დიდი ხნის მანძილზე უფროსების მხრიდან არ აღიქმებოდა მნიშვნელოვან პრობლემად. მათმა მიდგომამ – „ბავშვები ერთობიან და მერე რა მოხდა“ – ხელი შეუწყო აღნიშნული პრობლემის გამწვავებას. უკანასკნელ წლებში მანდატურების ინსტიტუტის შემოღებამ სკოლებში რაღაც დონით მართლაც შეამცირა ძალადობის შემთხვევები, თუმცა ბულინგის პრობლემა აქტუალურობას დღესაც ინარჩუნებს.

იგი საკმაოდ სერიოზულ და მძიმე შედეგების მომტან პრობლემას წარმოადგენს. ძალადობის მსხვერპლი ბავშვი შეიძლება ხანგრძლივ დროის მანძილზე ვერ განიკურნოს ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაზიანებისაგან. განიცდიდეს მუდმივ შიშს, შფოთვის, დამცირებას, მოჭარბებულ აგრესიასა თუ თვითშეფასების დაქვეითებას, რაც ნორმალური ფსიქიკის დეფორმაციის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საჭიროა გარკვეული სასკოლო რეფორმებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ბულინგი ძალადობის განსაკუთრებით საზიანო ფორმაა და სკოლებში აუცილებელია პრევენციული პროგრამების შემოღება. ასევე საჭიროა სკოლებში ძალადობის უწყვეტი მონიტორინგი. მიზანშეწონილია სკოლის ფსიქოლოგების როლის გაზრდა და გადაზიდვა, რომელთაც უნდა შეეძლოთ ადეკვატური მხარდაჭერის განწევა ძალადობის მსხვერპლთათვის.

ბავშვები უფროსების მზრუნველობის ქვეშ გაცილებით მეტ დროს ატარებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამიტომ მათი მოვალეობაა, აღზრდის საშუალებით, უზრუნველყონ ბავშვის პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანად ჩამოყალიბება, რომელიც იხელმძღვანელებს ისეთი ფასეულობებით, როგორცაა : არაძალადობრივი ცხოვრება, გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაციასთან ბრძოლა, მიმტყველობა და ურთიერთპატივისცემა.

მომზადდა ია გიბიაშვილმა



ზოგჯერ თავად მშობლებს ჰგონია, რომ ბულინგი სასკოლო ოინია, არადა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმეტესობა, ვინც მოზარდობაში ჩაგვრა განიცადა, შემდეგში თავადაც კრიმინალურ გზას ირჩევს, რადგანაც მასში დაღვივდა აგრესია უკუკალოდ არ ქრება.

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტი ბულინგს განმარტავს, როგორც სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენებას ან მის მცდელობას, ეს არის განმეორებით ჩადენილი ნეგატიური ქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ტრავმას.

ბულინგი ერთგვარ სოციალურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც სპეციალისტების მტკიცებით ძირითადად დამახასიათებელია ორგანიზებულ ბავშვთა კოლექტივისათვის, პირველ რიგში ეს არის სკოლა. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი, თუმცა ბულინგის მსხვერპლი უფრო მეტად ხდება რაიმე ნიშნით განსხვავებული ბავშვები, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ. ბულინგის მოტივაცია კი სხვადასხვაგვარია – შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა და სხვ.

ბავშვი – მსხვერპლი სხვებთან შედარებით არის უფრო პატარა და სუსტი. ამინებს ყოველგვარი კონფლიქტი თანატოლებს შორის, საფრთხის გაჩენის შემთხვევაში კი იწყებს ტირილს. ცდილობს სკოლაში ყოფნისას მოერიდოს ხმაურთან თავშეკრების ადგილებს და დარჩეს კლასში შეუმჩნეველი.

ბავშვ – აგრესორს კი საპირისპირო თვისებები ახასიათებს. ის მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხებება მას-



ამასთან, მათმა ორგანიზმმა უკეთ გააკონტროლა სისხლში შაქრის დონე და გაუმკლავდა თავისუფლად რადიკალებს.

დალი ჩხიკვაძე mkumali.ge



ფრაზები, რომლებიც ბავშვს სწორად უნდა უთხრათ

სასურველი ქცევა ბავშვსა და მშობელს შორის წლების განმავლობაში ყალიბდება და თუ ბავშვი ერთხელ არ დაუჯერებს უფროსს, ამით სავსეა არაფერი მოხდება. ამ დროს მშობელმა მაქსიმალურად უნდა აკონტროლოს საკუთარი ემოციები და არ დასაჯოს ბავშვი არც ფიზიკურად და არც ფსიქოლოგიურად.

ამ დროს ქცევის დადებითად არ უარყოფითად შეფასება საკმარისია, რომ ბავშვი სწორი პიროვნული სტრუქტურის მქონე ადამიანად ჩამოყალიბდეს – ეს არის ბავშვის აღზრდის თანამედროვე მიდგომა, რომელიც წინა თაობის ადამიანებისთვის და არა მხოლოდ მათთვის, არც ისე მარტივი გასააზრებელი და განსახორციელებელია. ბავშვის აღზრდისა და მისი დასჯის მეთოდებზე Allnews.ge-ს ექიმი-ფსიქოლოგის რეკომენდაციები აკრძალულია და ეფუძნება Allnews.ge-ს ექიმი-ფსიქოლოგის რეკომენდაციებს.

როგორ უნდა მოქცეს მშობელი, როცა ბავშვი არ უჯერებს?

ასეთ დროს ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომაა, როცა მშობელი საჯარო სივრცეებში იწყებს ბავშვის აღზრდას და ცუდ საქციელს საჯარო სივრცეში აკრიტიკებს. ამ დროს უმჯობესია, მშობელი წყნარად აღნიშნოს ცუდი ქცევა. შეიძლება ეს კონკრეტული ქმედება არ იყოს შედეგადანი და მშობელმა ვერ მიიღოს მოსალოდნელი შედეგი, ანუ ბავშვმა ნათქვამი არ გაითვალისწინოს. ამ დროს, არავითარ შემთხვევაში, მშობელმა ყვირილი არ უნდა დაიწყოს. ისტერიკა და ტრაგიაში საჭირო არაა, რადგან ქცევის ეს მოდელი საშუალოდ იბეჭდება ბავშვის ფსიქიკაში. ის ვერასდროს მიგვიყვანს იმ საბოლოო შედეგად, რასაც ბავშვის ქცევის მართვა ქვია. სასურველი ურთიერთობა მშობელსა და შვილს შორის წლების განმავლობაში ყალიბდება.

დასჯას არ უნდა ჰქონდეს ძალადობრივი ფორმა. ძალადობა შეიძლება იყოს როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური. ჩქმეტა ან თმის მოქაჩვა, რაც ერთი შეხედვით მსუბუქი დასჯაა, არაა გამართლებული. ფსიქოლოგიური ძალადობა ნებისმიერი შეურაცხყოფილი სიტყვის, მათ შორის უზრდელის, თქმა. ეს ყველაფერი სამომავლო ადამიანის პიროვნულ სირთულეებს იწვევს. მშობელმა აგრესია არ უნდა გამოავლინოს და ის საკუთარი უარყოფითი ენერჯის მართვაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი. აგრესია ვერ მიგვიყვანს შედეგამდე, რომ შემდგომში ბავშვმა უფროსს დაუჯეროს. დამორჩილების ყველაზე სწრაფი ფორმა არის შიში, მაგრამ შიში გაზრდილი ბავშვი ვერ იზრდება სწორი პიროვნული სტრუქტურის მქონე ადამიანად.

როგორ უნდა მოაზრდებოდეს მშობელი, რომ ბავშვი სწორად უთხრას პიროვნულად ჩამოყალიბების?

ერთადერთი მიღებული ქცევა, რომელიც სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებას იწვევს, ისე რომ ბავშვის პიროვნული „მე“ ჯანსაღი რჩება, ეს არის ქცევის შეფასება. ბავშვის ყველა ქცევა უნდა შეეფასოს დადებითად ან უარყოფითად. რა თქმა უნდა, ეს არ ხდება ერთჯერადად. ქცევის ჩამოყალიბება არის წლებში განხლებილი პროცესი. მშობელი მუდმივად უნდა ლაპარაკობდეს ბავშვს და სწორს. ნებისმიერი პატარა ფაქტის სწორი შეფასება უნდა ხდებოდეს. თუმცა მნიშვნელოვანია ბავშვმა იცოდეს, რომ ცუდი ქცევის დროს ის არ ხდება ცუდი. ის ყველა შემთხვევაში არის კარგი, მხოლოდ ქცევა ცუდი. მხოლოდ ამ დისოცირების დროს, რომ ბავშვი კარგია და ქცევა არის ცუდი, ბავშვი აღარ იმეორებს ცუდ საქციელს. როცა მშობელი ამბობს, რომ ცუდი ქცევის დროს ბავშვიც ცუდი ხდება, ის პიროვნულად ჯდება ამ მოდელში და იჯერებს, რომ ცუდი ქცევა არის ცუდი, ვეღარ მართავს ცუდ ქცევას და მუდმივად ცუდი საქციელი გამოსდის.

სწორი პიროვნული სტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის საკმარისია იმის თქმა, რომ ეს ცუდი საქციელია?

კი, თუმცა ეს უნდა ხდებოდეს მუდმივად. უნდა შეეუქმნათ მას მოტივატორები. კარგი მოტივატორია, რომ გავახაროთ მამა, დედა, ახლობლები. მშობელმა უნდა აღნიშნოს, რომ შენ არ დამიჯერებ და ეს ცუდი ქცევა შენდარი დამიჯერ შვილს არ უხდება. უნდა გამოიკეთოს, რომ თვითონ პიროვნება არის დამიჯერი, მაგრამ შეცდომა მოუვიდა. ბავშვი თვითონ მიღებულია მშობლისთვის, მაგრამ ის ქცევა არ გამოუვიდა. ბავშვი მუდმივად უნდა გრძობდეს, რომ მშობელს ვუყვარვარ, ვუნდვიარ და ასეთ შემთხვევაში მშობლისთვის გაიმეორებს იმ კარგ საქციელს, რასაც მისგან ელიან.

ბავშვი არ უნდა ფიქრობდეს, რომ მშობლის მისდამი სიყვარული კონკრეტულ ქცევაზეა დამოკიდებული. ის იხვევს დაბალ თვითშეფასებას და ბავშვთა დეპრესიას. მან უნდა იცოდეს, რომ მშობლისთვის ყოველთვის მიღებული იქნება. შეიძლება უფროსმა აქცენტი გააკეთოს იმაზე, რომ მას გაუხარდება, ბედნიერი იქნება თუ დაუჯერებს. დადებითი ემოციებით მანიპულირება არის ქცევის მართვის სწორი ფორმა. ამ დროს სწორი ფასეულობათა სისტემით და კარგი თვითშეფასებით იზრდება ბავშვი. მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან პატარა ასაკიდან უნდა დაიწყო.

და თუ ამ ყველაფრის შედეგად, მაინც არ უჯერებს ბავშვი მშობელს?

მაინც არ უნდა დაიძლი. მშობელს უნდა ჰქონდეს მოთმინების დიდი უნარი. ამ ერთი მომენტით ხომ არ სრულდება აღზრდის პროცესი? ერთ საათში შეუძლია მიუბრუნდეს, იგივე საკითხს, ან მეორე დღეს. უფროსი ნყოფიდან არ უნდა გამოვიდეს და არ უნდა დაიწყოს, რომ ყოველთვის ის არის პასუხისმგებელი. ბავშვს თავის არასწორ ქცევაზე პასუხისმგებლობა უეცრდება. მშობელი უნდა მიეხმაროს, რომ მან ეტაპობრივად შეძლოს თავისი ქცევის მართვა. აღზრდის პროცესი წლებზე უნდა ჰქონდეს გათვლილი. თუ ერთხელ ან თუნდაც რამდენჯერმე ბავშვმა არ დაუჯერა, პიროვნულ ტრაგიაზემდე არ უნდა დაიყვანოს. უარყოფითი ემოციებით მანიპულირებაც არასწორი ფორმაა. მაგალითად, ხშირად მსმენია, რომ გული მატკინე, ცუდად გავხდი, ან შენი დედა აღარ ვიქნები. ასეთი ფაქტები ბავშვებში დეპრესიულ განწყობას ქმნის, რასაც საბოლოოდ, ფსიქომოციურ სირთულეებამდე მიყვარვარ. ქცევის მშვიდი შეფასება საკმარისია. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სტაბილურობა. რასაც დღეს ეუბნები, ხვალაც იგივე უნდა უთხრა. ბავშვადღობა უნდა იყოს იყოს, რას ითხოვს მისგან მშობელი და ეს სურვილები უფროსის ხასიათის მიხედვით არ უნდა იცვლებოდეს.

რომელი ფრაზები ახდენს განსაკუთრებულ გავლენას ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებაზე?

„შენ ეს არ შეიძლება! შენ ამას ვერ გააკეთებ!“ – ეს არის ფრაზა, რომელიც ბავშვის განვითარებას ზღუდავს. უფროსმა ბავშვს ყოველთვის უნდა მისცეს

სასუალება, რომ მან საკუთარი გამოცდილება მიიღოს. წარმატების მიღწევის ფსიქოლოგიური საფუძველი პატარაობაში მიღებული გამოცდილებაა. ხშირად თვითონ ამბობენ მშობლები, მე გავქმევე, მე ჩავაცვამ. ბავშვებს კი რჩებათ შთაბეჭდილება, რომ ვერ აკეთებენ და ხშირად ეს კომპლექსების სათავეა. პატარაობიდანვე უნდა ჰქონდეს საკუთარი მიღწევები. მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით ხდება უნარების გაუმჯობესება. სანყის ეტაპზე ეს შეიძლება საკუთარი ხელით კვება ან ჩაცმა იყოს, მომავალში კი ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თვისებების ჩამოყალიბება იქნება. სწორედ ესაა ფრაზა, რომელიც ღრმად რჩება ადამიანის მეხსიერებაში და მომავალში წარმატების მიღწევაში ხელს უშლის.

ბავშვის აღზრდისას დაშვებული შეცდომები, რომლებიც მის ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება

მიმართვა „შენ ვინ გეკითხება. არ მინტერესებს შენი აზრი“ ასევე საოცრად ნეგატიურ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ეს ბავშვს დაბალ თვითშეფასებას უფიქრებს, ხელს უწყობს ჩაკეტილობას და შემდგომში თვითპრეზენტაციის სირთულეებს უფიქრებს.

არ შეიძლება თქმა, რომ რაღაც დაგემართება. უარყოფითი ემოციებით მანიპულირება ძალიან ცუდია. ჩაიცივ, თორემ გაცვივდები, არ გადაიბრინო, თორე მანქანა დაგეჯახება – ასეთი კონსტრუქციით აწყობილი წინადადებები იწვევს ფობიების განვითარებას. ბავშვის ქცევის სამართავად სწორი ფრაზებია: მე გამიხარდება, რომ ჩემ გვერდით იდგე და როცა მწვანე შუქი აინთება, მერე გადავიდეთ. მეტყველებით აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რა არის გასაკეთებელი და არა იმაზე, თუ რა არ გააკეთოს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა უთხრა, რომ ზარმაცია.

ამ დროს ბავშვს პიროვნულ მოდელში ესაგამთ და ის მომავალშიც ამ მოდელით ცხოვრებას აგრძელებს. შეძახილი გადადის თვითრწმენაში და მისი ყოველდღიური შეგრძობა ხდება, რომ არ შეუძლია და არ გააკეთებს.

არ უნდა დაგვეზაროს შექება. ყოჩაღ, რომ მეცადინებო! ბავშვისთვის მოტივატორია, გაახაროს საყვარელი ადამიანი. დედის გახარება რეალური უკუკავშირია, რასაც ხედავს. ცალკე პიროვნული თვისებების გასაძლიერებლად, პიროვნულად უნდა შეეაქით. ხშირად უთხარით ბავშვს: შენ ყველაზე კეთილი ხარ, ყველაზე ჯანმრთელი ხარ, ყველაზე მამაცი ხარ, ყველაზე ლამაზი ხარ. ყველაფერი რაც გვემეტება, უნდა ვუთხრათ. ბავშვი უნდა ხედავდეს, რომ მშობელი სწორედ ამ თვისებების მქონედ ხედავს, სჯერა, რომ ასეთია. ასე უყალიბდება თვითშეფასება, რომელსაც მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე იყენებს. ამ დროს ბავშვი თავდაჯერებულ და ზომიერად ამბიციური პიროვნებად ყალიბდება.

ან საკითხაზე მოკალთა ცნობიერება რამდენად მალაღია?

ნამდვილად ბევრმა მშობელმა არ იცის, როგორ უნდა შეძლოს ბავშვში ფასეულობათა სწორი სისტემის ჩამოყალიბება. მე პირადად, მუშაობის დროს დიდ დროს ვუთმობ მშობელთა კომპეტენციის მწვერულებს. საზოგადოება უნდა მოვიყვანოთ იმის გააზრებამდე, თუ როგორ უნდა მოუდგეს იმ პრობლემას, რაც ანუხებს. სამწუხაროდ, ხშირად არ იღებენ ამ პასუხისმგებლობას მშობლები საკუთარ თავზე.

ნანა მღვინელი


საქართველოში ქიმიკატის წარმოების შესახებ

მშრალი ყურძნის, როგორც საკვები პროდუქტის, წარმოების ისტორია საუკუნეებს მოიცავს. ამჟამად მსოფლიოში ყოველწლიურად ინარჩუნება საშუალოდ 600 000 ტონა მშრალი ყურძენი.

ქიმიკატის (ვაზის) რამდენიმე სახესხვაობა არსებობდა კახეთსა და ქვემო ქართლში. ყურძნის გამოშრობას ახდენდნენ თონებში (ჯავახიშვილი, 1934).

ქიმიკატს ძირითადად აწარმოებენ სამხრეთ ვეროპოში, აზიაში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში და აშშ-ში. დღეს-ს დღემდე იგი ყველაზე მეტი ინარჩუნება უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და აზერბაიჯანში.

საქართველოში ქიმიკატს, სამწუხაროდ, არ ინარჩუნებ. იგი სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს. სწორედ ამით აიხსნება



მასზე ბაზრის მეტისმეტად მაღალი ფასები, რაც გვაფიქრებინებს მისი წარმოების გზების ძიების აუცილებლობაზე.

ქიმიკატსა და ჩვეულებრივ გამოშრობილ ყურძენს (ჩამირი) შორის არსებობს განსხვავება. ქიმიკატს უნიზონა, ჩამირს ხანიზონა. საქიმიკატს ყურძენი ხასიათდება რბილი სტრუქტურით, სასაიამოვნო არომატით, მსხვილი ან ძალიან წვრილი მარცვლებით და შენახვისას მცირე ნებოვნებით. საერთოდ, როგორც ქიმიკატს, ასევე ჩამირს მისაღებად საჭიროა ყურძნის გამოშრობა.

საქიმიკატს ყურძნის გამოშრობა კი ხორციელდება როგორც ხელმოწერილი,



ასევე ბუნებრივი გზით. ბუნებრივი შრობა წარმოებს ღიად, მზეზე. ეს წესი მიღებულია იქ, სადაც იცის ცხელი ზაფხული, ხანგრძლივი თბილი, უნაღვეო შემოდგომა და შედარებით დაბალი შეფარდებითი სინოტივე.

ხელმოწერილი შრობა ხორციელდება სპეციალურ ფარდულეებში, რომლებიც კედლებზე იმ ანგარიშით, რომ 100 ტ ყურძენს ესაჭიროება 0,6 ჰა ფართობის სათავსო (Jacob).

გამომშრალი პროდუქტის გამოსავალია მისი გადღობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად, მორწყვას წვეტენ ყურძნის დაკრეფამდე ორი კვირით ადრე. კრეფენ, როცა საქიმიკატს ჯიშების ყურძნის შექარებას მიაღწევს 23-25%-ს, ხოლო საჩამირე ჯიშებისა – 22-23%-ს.

მსოფლიო ბაზარზე გამავალი ქიმიკატის ძირითადი ვაზის სამი ჯიშისაგან მიიღება: თეთრი ოვალური ქიმიკატის, შავი კორინკა და ალექსანდრიული მუსკატი.

გარდა აღნიშნული ჯიშებისა არსებობს: მოლდოვური ქიმიკატის, მეჩტა, ნიუტონი თურქმენული, პერლეტი (საადრეო მომწიფების პერიოდის ჯიშები); ხიშრაუ, სირანუმი, ასკერი, ქიმიკატის შავი, ქიმიკატის ვირა, ქიმიკატის ზარაფშანი, ქიმიკატის რიტმარი (საშუალო მომწიფების პერიოდის ჯიშები).

საქართველოში გავრცელებული იყო ოთხი ადგილობრივი საჩამირე ჯიშები: მქარია, მზარგრძელი, ქიმიკატის თეთრი და ცხენის ძუქუ (ბობილაშვილი, 1971).

შემოწამოთვლილი საქიმიკატის წარმოების სიმრავლიდან საქართველოში მასავრცელებლად შესაძლებელია შეირჩეს ჩვენი ქვეყნის აგროკლიმატური პირობებისათვის უფრო მისაღები ჯიშები.

საქიმიკატს ჯიშები ადრე უნდა მწიფდებოდეს, რომ შესაძლებელი იყოს ყურძნის კარგად გამოშრობა, რადგან შემოდგომაზე დღის ხანგრძლივობა მოკლეობა, ჰაერის ტემპერატურა ეცემა და წვიმები ხშირია.

შესასწავლად შევარჩიეთ თეთრი ოვალური ქიმიკატის ჯიშები, რადგან იგი აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტს და ამასთან, მომწიფების საშუალო პერიოდისაა. თუ ჩვენი ქვეყნის აგროკლიმატური მარჯვენებელი დააკმაყოფილებენ სა-

შუალო მომწიფების პერიოდის საქიმიკატს ჯიშს, მით უფრო ხელსაყრელი იქნება საადრეო ჯიშებისათვის.

ჩვენი გამოკვლევის თანახმად, კვირტის დატვირთვით ყურძნის სრულ სიმწიფემდე პერიოდში, აღნიშნულ ჯიშს ესაჭიროება 160-მდე დღე და 3000 – მდე აქტიური ტემპერატურათა ჯამი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეთრი ოვალური ჯიშის ქიმიკატის ყურძენში 23% შაქარიანობის მისაღწევად, საჭიროა ყვავილობის შემდგომ პერიოდში დაგროვდეს 14000 ტემპერატურათა ჯამი, ხოლო 25%-თვის კი 17000-მდე.

საქართველოს პირობებში ყვავილობიდან მომწიფებამდე პერიოდში დიდი ოვალური სითბოს ჯამი (20000) 3000-ით აღემატება 25% ყურძნის შაქარიანობის მისაღწევად საჭირო ტემპერატურათა ჯამს.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ მომწიფების პერიოდში საქიმიკატს ყურძენს ესაჭიროება ჰაერის მაღალი საშუალო დღეღამური ტემპერატურა. ჩვენს პირობებში ივლის-აგვისტოს საშუალო დღეღამური ტემპერატურები 25-ის ფარგლებშია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონის აგროკლიმატური მარჯვენებელი სრულიად დამაკმაყოფილებელია ვაზის საშუალო მომწიფების პერიოდის საქიმიკატს ჯიშების წარმატებით გასავრცელებლად; მით უფრო, იგი საცხები ხელსაყრელი იქნება მისი საადრეო ჯიშებისათვის.

საყურადღებოა, აგრეთვე, საქიმიკატს ყურძნის გამოშრობის პრობლემა. ყურძნის მოკრეფა-გამოშრობა საქართველოს პირობებში უნდა მოხდეს სექტემბერში და აღნიშნული თვის კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული ყურძნის შრობის ნორმალური წარმართვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში საქიმიკატს ყურძნის ბუნებრივი წესით, ღიად – მზეზე, გამოშრობა არ შეიძლება.

საქართველოს პირობებში ამ მიზნით უნდა იქნას გამოყენებული ჰელიოსაკენი – მარტივი, სპეციალურად მოწყობილი ფარდულეები. ყურძნის გამოშრობა უნდა, აგრეთვე, ვთავაზობთ საბაზრობის გამოყენებას, რომლებიც სექტემბრის თვეში დანიშნულების მიხედვით ჯერ კიდევ დაკავებული არ არის.

ამრიგად, საბოლოოდ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში ვაზის საადრეო და საშუალო მომწიფების პერიოდის საქიმიკატს ჯიშების გავრცელება და მიღებული მოსავლის ხელმოწერილი წესით – ჰელიოსაკენში ან საბაზრობაში გამოშრობა მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ, ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მაინც, ვანარმოთ სასუფრეო ყურძნის ეს ძვირფასი პროდუქტი – ქიმიკატს.

გივი ბაგვა
agrovkavaz.ge



მე-14 საუკუნიდან მე-16 საუკუნის ჩათვლით დიდი მუსლიმური სისხლიანი ლაშქრობების, თემურ ლენგის და სპარსეთის შაჰების მიერ საქართველოში განუწყვეტელი ომების შედეგად ათიათასობით ტყვე აღმოჩნდა ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში. ინდოეთში დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი ტყვეების მიმართ, მათ გურჯ მონებს – ლულამებს უწოდებდნენ. ინდოეთში სპარსეთიდან მათ შესახებ ბევრი ისეთი რამ მხენოდათ, რომ სურდათ საკუთარი სამხედრო ძლიერება ბედკრული საქართველოს ტყვედ ჩავარდნილი შვილებით გაემდიერებინათ. ქართველები ახერხებდნენ იმას, რასაც ვერ ახერხებდა მონობაში აღმოჩენილი თითქმის ვერც ერთი ერის წარმომადგენელი – ისინი მათი დამონებლების მეფეები და მმართველები ხდებოდნენ. მარტო ინდოეთში მეფობდა 18 ქართველი მეფე და 2 ქართველი სამეფო დინასტია.

ქართველი ლულამის – უსუფ (ოუსუფ) ადილ შაჰის მიერ დაფუძნებული ადილ შაჰთა დინასტია 200 წლის განმავლობაში მართავდა ბიჯაპურს და დიდ გავლენას ახდენდა მთელი სუბკონტინენტის პოლიტიკურ ვითარებაზე. ადილ შაჰთა სახელმწიფოს ყველაზე ძლიერი მონინააღმდეგე კი კიდევ ერთი ქართველი ლულამი, ქასიმ ბარიდის მიერ დაარსებული სამეფო დინასტია გახლდათ. მისი ცხოვრების ბევრი დეტალი უცნობი რჩება, მაგრამ ეტყობა ბევრი სხვა ქართველის მსგავსად, ისიც მონობაში აღმოჩნდა.

ქართველი ქასიმ ბარიდი და მისი დინასტია, რომელიც 130 წელი გასტანდა ბიჯაპურის სასულთნოს

ფერიშთას (ცნობით, ახალგაზრდა ქართველი ინდოეთში მონობაში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ხვაჯა შაჰაბუდდინ ალი ეზიდმ იგი საჩუქრად მიართვეს სულთან მუჰამად შაჰ ბაჰმან მესამეს, რომელმაც თავის მხრივ ქასიმს გააჩნესა თავის ქართველ მონებს შორის. სხვა ქართველი ლულამების მსგავსად, ქასიმმა ძალიან მალე მოიხვეჭა სახელი, როგორც გამორჩეულად მამაცმა და ნიჭიერმა პიროვნებამ, რომელიც ამავე დროს, ჩინებული კალიგრაფი და მუსიკოსი იყო. ქასიმს დიდი წარმატებით ართმევდა თავს სამხედრო საქმეს. მე-16 საუკუნის ინდოელი ისტორიკოსის, მუჰამად ქასიმ ჰინდუ შაჰის ცნობით – „ქასიმმა თავი გამოიჩინა თავისი ვაჟაკობით მეამბოხე მართლად წინააღმდეგ ბრძოლებში, რომლის დასამარცხებლადაც იგი მიავიღეს პეიტუნსა და ჩაკუნს შორის მდებარე მხარეში“. გადამწყვეტ ბრძოლაში თვითონ ქასიმმა მოკლა მეამბოხეთა თავკაცი და ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად, სულთანმა მამამუდმა ქასიმს ნება დართო, ცოლად მოეყვანა მოკლული მმართველის ქალიშვილი და უხვად დააჯილდოვა მიწებით. 1490 წლისთვის ქასიმმა დიდი ზეგავლენა მოიპოვა სამეფო კარზე, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ წარჩინებულთა შორის. სწორედ ამ დროს განუდგა სულთანს ქართველი ლულამი – ოუსუფ ადილ ხანი, რომელმაც ბიჯაპურში საკუთარი სახელმწიფო შექმნა. ქასიმ ბარიდმა კი შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება და 14 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ბიდარის სასულთნოს.

ქასიმს გარდაიცვალა 1504 წელს, მაგრამ ამ დროისთვის მან მოახერხა და საფუძველი ჩაუყარა ბარიდთა დინასტიას, რომელიც ჯამში 130 წლის განმავლობაში მართავდა ინდოეთის სამეფოს – ბიდარს.

ბიდარის სასულთნოს ქართული სამეფო დინასტია – მმართველები: ქართველი ოუსუფ ადილ შაჰი და მისი დინასტია, რომელიც 200 წელი მართავდა ბიჯაპურის სასულთნოს მეფედქცეული ქართველი ლულამის, უსუფ ადილ შაჰის (1444-1511) შესახებ ისტორიულ ცნობებს გვანდობს იმდროინდელი ინდოელი ისტორიკოსები, მაგალითად, მუჰამედ ქასიმ ჰინდუ შაჰი, იგივე ფერიშთა და რაფი ედ დინ შირაზი. ფერიშთას მიხედვით, საქართველოში ყარა-ყოინლუსა და აყ-ყოინლუს თურქმანთა თარემის დროს ტყვედ მოხვდა ერთ-ერთი ქართველი ყრმა, რომელსაც სახელი გამოუცვალეს, უსუფი უწოდეს და მონად გაყიდეს. სპარსეთში მან რამდენიმე წელი გაატარა, სახელიც შიიტურ ისლამზე მონათვის დროს გამოუცვალეს. სპარსეთიდან იგი ინდოეთში წაიყვანეს და ბაჰამანის სასულთნოს დიდგვირს, ენისკურად სპარსს, საჩუქრად მიართვეს. უსუფმა იმდენად გამოიჩინა თავი სიმამაცით, რომ ღვაწლად ის ოფიციალურად იწვილა.

ინდოეთის ქართველი მეფეები და დინასტიები

დაუნყეს, განანყეს მტრულად ოუსუფის წინააღმდეგ და გადაანყვეტინეს, რომ მოეწვია იგი და მამიწვე სიკვდილით დაესაჯა, ხოლო თუ არ გამოცხადდებოდა, სახელმწიფოს მტრად და მეამბოხედ გამოაცხადებდნენ. ორივე შემთხვევა ხელსაყრელი იყო კონკურენტის მოსაშორებლად. მამამუდი დაეთანხმა ვეზირებს და იხმეს ოუსუფი სულთნის კარზე. ქართველი მიხვდა რასაც უპირებდნენ და ასე მოიქცა – სულთანს ეახლა, მაგრამ იმხელა ჯარი წაიყოლა თან, რომ დასჯის მაგივრად ხელმწიფემ დააჯილდოვა და ისე გაისტუმრა.

ამჯერად კი გადაურჩა ოუსუფი სამეფო კარის ინტრიგებს, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, საშობრობა იყო, რომ მისთვის მკვლელები მიეგზავნათ და მოემორეზინათ ან სხვა გზით დაეღუპათ. ამიტომ 1489 წელს განუდგა სულთანს და თავი ბიჯაპურის დამოუკიდებელ ხელმწიფედ გამოაცხადა. მომდევნო 20 წლის განმავლობაში მან გაატარა ძალიან წარმატებული სამხარეო და საგარეო, ასევე ეკონომიკური პოლიტიკა. დასუსტებული ბიჯაპური მისი რეფორმების შემდეგ სუბკონტინენტის უძლიერეს სამეფოდ ჩამოყალიბდა.

მისი თანამედროვე ისტორიკოსი მუჰამედ ქასიმ ჰინდუ შაჰი ასე ახასიათებს მას: „ბრძენი ხელმწიფე, ადამიანის ბუნების კარგი მცოდნე. მშვენიერი აღნაგობის, მჭკვრემეტყველი და განსწავლული. სახელგანთქმული გულუხვობითა და ვაჟაკობით, ის მუდამ აფრთხილებდა თავის მოხელეებს, რომ ემოქმედათ სამართლიანად და პატიოსნად და პირადად აძლევდა მაგალითს“.

1502 წელს ბიჯაპურში ჩასული იტალიელი მოგზაური ლეონიკო დი ვართემა აღნიშნავდა, რომ ოუსუფ ადილ შაჰი ძალიან ძლიერი, მდიდარი და გულუხვი ხელმწიფეა, რომ შაჰის ჯარის უმეტეს ნაწილს „თეთრკანიანი ჯარისკაცები“ შეადგენდნენ (რომელიც შესაძლოა ყოფილიყვნენ ქართული ან ჩერქეზული წარმომავლობის, სწორედ ეს ორი ხალხი იყვნენ თეთრკანიანი მამლუქები აზიაში და აფრიკაში) რომლებიც ამკარად გამოირჩეოდნენ სამეფოს ადგილობრივი, მოყავისფრო კანის მქონე მოსახლეობისგან. ოუსუფი 1511 წელს გარდაიცვალა 67 წლის ასაკში. დასაფლავებულია ქალაქ შაჰპურში (ცნობილი სუფიას – ჩანდაჰ ჰუსეინის აკლდამაში. მისი შთამომავლობა 200 წლის განმავლობაში მართავდა ინდოეთს.

სალაბათ ხან II – კიდეკ ერტი საქართველოში, რომელიც ინდოეთის მმართველად იქცა

უკვე ვისაუბრეთ 18 ქართველ მეფეზე, რომლებიც ინდოეთს მართავდნენ.



ისინი 2 ქართული სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყვნენ, მაგრამ ეს მე-19 ადამიანი იყო ფაქტობრივი მმართველი, რომელმაც ვერ შეძლო დაეარსებინა საკუთარი დინასტია და მიეღო მეფის წოდება. საუბარია სალაბათ ხანზე. ის სავარაუდოდ დაიბადა 1519 წელს. დაბადების წელი ვიცით იქიდან, რომ 1589 წელს ის მოხსენიებულია, როგორც „70 წლის მოხუცი“. სამწუხაროდ მის ახალგაზრდობაზე და ნამდვილ სახელსა და გვარზე არ შემორჩა ინფორმაცია, მაგრამ ვიცით, რომ ერთი პერიოდი მას მიჰაბ ხანს უწოდებდნენ. ისტორიკოს ფერიშთას თანახმად სალაბათ ხანი იყო შაჰ თამაზის სამეფო მონა (შაჰ-ყული), რომელიც სეფიანთა შაჰმა საჩუქრად გამოუგზავნა აჰმადნაგარის სულთანს. ცნობილია, რომ 1540-1553 წლებში საქართველოში შემოსევების შედეგად შაჰ თამაზმა ათაბოთი ქართველი ტყვე წაიყვანა სპარსეთში. სალაბათ ხანიც ერთ-ერთი მათგანი იყო.

წყაროებში სალაბათ ხანი პირველად 1570-იანი წლებიდან გვხვდება, როდესაც მურთაზ ნიზამ შაჰმა თავისი დიდი ვეზირის ჩანგიზ ხანის (თუმცა ის უდანამაულო გახლდათ) სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. სიკვდილის წინ ჩანგიზ ხანმა სულთანს წარუდგინა ნიჭით, მხნეობითა და თავდადებით გამოჩენილი პირთა სია, რომელთა დანიშნაობაზე ქვეყანას დიდ სარგებელს მოუტანდა. სწორედ ამ სიაში გვხვდება შიჰაბ ხანის სახელიც. მურთაზ ნიზამ შაჰმა დაიახლოვა ეს ლულამი, მას სალაბათ ხანის წოდება უბოძა და ჯარის მარცხენა ფლანგის მხედართმთავრობა ანდო. ცოტა ხანში სალაბათ ხანი კიდევ უფრო დანიშნაურდა. ჯარის მარჯვენა ფლანგის მეთაურობა მიიღო და სამეფოს დედაქალაქის ციხედაღის ციხისთავად დანიშნა.

გურჯის ასეთმა სწრაფმა აღზევებამ ადგილობრივ დიდებულებში დიდი შური გამოიწვია და სალაბათ ხანის წინაარმდეგ არაერთი შეთქმულება მომზადდა. თუმცა მან შეძლო მოწინააღმდეგეების დამარცხება და 1579 წლისთვის ნიზამ-შაჰების სამეფო კარზე ყველა დიდ-



ბულზე უფრო დიდი გავლენებით სარგებლობდა. მომდევნო 15 წლის განმავლობაში იგი ფაქტობრივად პირადად განაგებდა აჰმადნაგარის სამეფოს. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ მმართველობას, მოახდინა ჯარის რეორგანიზაცია, სამეფო კარს ჩამოაცილა მისთვის მიუღებელი პირები, ალაგმა ურჩი თავადების თვითნებობა და წარმატებით იბრძოდა ქვეყანაში სრული წესრიგის აღდგენის და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისთვის. აჰმადნაგარში, ბურჰანპურსა და დაულა-ტაბადში დააარსა ახალი ზარაფხანები, სადაც ნიზამ-შაჰების სახელით მოიჭრა ახალი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მონეტები. აჰმადნაგარში შეკრიბა ნიჭიერი არქიტექტორების დიდი ჯგუფი, რომელთაც წამოაწყებინა დიდი დიდი სამშენებლო პროექტები. სწორედ სალაბათ ხანის თაოსნობით დაარსდა ინდოეთში რამდენიმე ახალი ქალაქი, აშენდა უამრავი შესანიშნავი შენობა, მათ შორის დიდებული სასახლეები და ბაღები, მაგალითად ბალი ფარაჰ ბაზში, რომლის ნანგრევებაც დღემდე შემორჩენილი აჰმადნაგარში. ისტორიკოსები წერენ, რომ მთელ სამხრეთ ინდოეთში (დეკანში) უკანასკნელი 250 წლის განმავლობაში ასეთი კეთილდღეობა სალაბათ ხანის მსგავსად არავის დაუმყარებიაო. ის საგარეო პოლიტიკაში წარმატებული აღმოჩნდა. მან დაამყარა კავშირები ინდოეთის სხვა სასულთნოებთან მათ შორის ქართველ ადილ შაჰებთან და დიდი ხნის განმავლობაში შეძლო მონღოლთა იმპერიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. ამხელა წარმატებების ფონზე სალაბათ ხანის წინააღმდეგ შეთქმულებები და მური კვლავ გრძელდებოდა. შეთქმულებმა ბოლოს მოახერხეს და შაჰსა და ქვეყანაში მეორე პირს – სალაბათ ხანს შორის დაპირისპირება გააღვივეს. მურთაზ ნიზამ შაჰმა მას პირდაპირ სახელმწიფო დალატში დასდო ბრალე. საპასუხოდ სალაბათ ხანმა შეაჯილდოვა დედასახელები ნებისმიერი ადგილი სადაც იგი ნებაყოფლობით წავიდოდა პატიმრობაში. მეფემ დანდა რაჯპურის ციხისმთავრად დასახელა. ამის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული და მეფის ნამდვილმა მოლაღატებმა თავი იჩინეს, როდესაც მისი ერთგული სალაბათ ხანი ჩამოშორებული დაიგულეს. შეთქმულების მოქმედებები იცნოსა მურთაზ ნიზამ შაჰმა, მიხვდა, რომ გააცურეს და სალაბათ ხანის სასწრაფო გათავისუფლება ბრძანა, მაგრამ ვერ მოუსწრო სალაბათმა მეფეს. შაჰს საკუთარმა შვილმა მოულო ბოლო 1588 წელს. ამ მკვლელ შვილს ერქვა – ჰუსეინ ნიზამ შაჰი. ის შიშობდა, რომ სალაბათ ხანის მსგავსი ძლიერი მოხელის დაბრუნებას მისთვის ძირი არ გამოეთხარა და როგორც ინდოეთის სხვა სამეფოებში, აქაც ქართველი არ მოეგონოდა სათავეში ამ სამეფოსაც. ამიტომ მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა. ნიზამ შაჰმა მხოლოდ 1 წელი იმეფა. 1589 წელს კი ტახტიდან გადმოაგდეს. ახალმა ხელმწიფემ – ისმაილ ნიზამ შაჰმა გაათავისუფლა 70 წელს მიღწეული დიდი ქართველი მოღვაწე – სალაბათ ხანი, რომელმაც ამის შემდეგ პოლიტიკას თავი დაანება და თავის მიერვე დაარსებულ ქალაქში – ტისგაონში გადავიდა საცხოვრებლად. ტისგაონში ჩვეულებრივ მოსახლეებსაც კი დღემდე კარგად ახსოვთ ამ დიდი მოღვაწის და მათი ქალაქის დამაარსებლის სახელი, ქალაქში დღემდე შემორჩენილი სალაბათ ხანის მიერ აგებული კარიბჭეები და ქალაქის მთავარი სავაჭრო ცენტრი.

სალაბათ ხანი დაკრძალულია აჰმადნაგარის მახლობლად მდებარე 900-მეტრიანი მთის წვერზე, სადაც მან წინასწარ ააგო დიდებული 3-სართულიანი აკლდამა.

ყვარლის ფეხბურთის ისტორიიდან

...სჯერა, რომ ქვეყნისა და ქართველი ხალხის სვალნიდელი დღე უკეთესი იქნება...

88 წელი შეუსრულდა ჩვენს თანამოქალაქეს, ღირსეულ პიროვნებას და მამულიშვილს, ნარსულში შესანიშნავ სპორტსმენს, „დურუჯის“ ფეხბურთელთა გუნდის საიმედო მეკარესა და კაპიტანს, შემდეგში მწვრთნელს, ზაურ ჩახნაშვილს.

მან დიდი და შინაარსიანი ცხოვრების გზა გაიარა, რომელიც აღსავსე იყო სირთულეებითა და მოულოდნელობებით, აღმასვლითა და შეფერხებებით, წარმატებებითა და ბევრი სიხარულით; ამავე დროს, როგორც ჩვენს უკუღმართ ნუთისოფელს სწევია, უეცრად თავს დამტყდარი მწუხარებითაც...

და მაინც ჩვენი ზაურ ჩახნაშვილი ისევ ის ბიჭია თითქოს, ყველას სხოვნაში, ვისაც მისი ახალგაზრდობის წლები გვინახავს, როცა დიდი შემართებითა და ოსტატობით იცავდა საყვარელი გუნდის კარს და ყველას იმედით ალაგვებდა, თანაგუნდელებსაც, აურაცხელ გულშემატკივრებსაც. იგი, ცხოვრებითა და ფიქრებით დადილი, დღესაც ძველებური შემართებითა და მხნეობით გამოირჩევა და ამ სულსკვეთებით აგრძელებს ცხოვრებას, რადგან არც ერთი წამით არ იფიქრებს დიდი ილიას ბრძულს შეგონებას: – „ნუთისოფელს თუ ერთი წამით თვალი მოუხუჭე, ისე გატელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო!“

იგი 15 წლის იყო, როცა დიდი სამამული ომი დამთავრდა. ქვეყანა ომის ჭროლობებს იმუშებდა და თავდაუზოგავი შრომის ფერხულში არც სპორტი დარჩენილა ყურადღების მიღმა. იმ წლებში განსაკუთრებით პოპულარული ფეხბურთი გახლდათ და იმეათი სპორტული მონაცემებით დაჯილდოებული ბიჭიც ფეხბურთმა გაიტაცა. სულ მალე მისი სახით ყვარლის ფეხბურთის ძალზე ძლიერი და საიმედო მეკარე მოეწონა, რომლის თამაშსაც ალტაცებამო მოჰყავდა მაცურებელი. ასე გახდა ჩვენი „ჩახნა“, როგორც მესტახელითაც მას მოიხსენიებდნენ, გულშემატკივართა აღიარებული კიკაპი.

აქტიურ სპორტულ ცხოვრებაში იგი 1948 წლიდან ჩაება. ყვარელში ყალიბდება ფეხბურთელთა გუნდი, რაიონის ნაკრები. სახელწოდებაც ასეთივე ჰქონდა, „ყვარელი-ნაკრები“. მონაწილეობენ ზონალურ გათამაშებაში სპორტსკოლების შორის. 1950 წლიდან ერთგვარად საქართველოს ჩემპიონატში მესამე ჯგუფის გუნდებს შორის. ეს იყო საქართველოს პირველი ჩემპიონატი დიდი სამამული ომის შემდეგ. ზაურ ჩახნაშვილს კარგად ახსოვს სულ პირველი თა-

1958 წლიდან იგი აქტიურ სპორტს ემშვიდობება და სამწვთნელო სამუშაოზე გადადის. მეკარის პოსტი მან ალიკა ღონიაშვილსა და კაკო სეფაშვილს დაუთმო. მათგან კაკო სეფაშვილმა დამკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და სახელოვნად გააგრძელა თავისი მასწავლებლის სპორტული გზა.

ალანიაშია, რომ ზაურ ჩახნაშვილის სამწვრთნელო მოღვაწეობაც ერთობ წარმატებული აღმოჩნდა. უკვე 1960 წლის ჩემპიონატში, მისი ხელმძღვანელობით, ყვარლის „დურუჯის“ განახლებულმა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და უმაღლეს ეშელონში გადავიდა, სადაც მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ასპარეზობდა.


გუნდის მწვრთნელად მუშაობის პარალელურად ზაურ ჩახნაშვილი ყვარლის რაიკავშირის სისტემაში, ვაჭრობის სფეროში მოღვაწეობდა და საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ იქაც გამოჩენილი და უნარიანი მუშაკის სახელით სარგებლობდა. წლების მანძილზე იგი იყო რაიკავშირის უფროსი საქონელმცოდნე, სამრეწველო საქონელმცოდნე, რაიონიერმალის დირექტორი, საზღვების გაერთიანების დირექტორი. სადაც არ უნდა ემუშავა, ის არასოდეს ჩამოშრებია სპორტს და სიტყვით თუ საქმით მუდამ იდგა მისთვის ესოდენ მშობლიური ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელთა გუნდის ინტერესების სადარაჯოზე, არაფერს იმურებდა და გუნდს ხშირად მატერიალურადაც ეხმარებოდა. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ფინანსური პრობლემების ჟამს ფეხბურთელთა გუნდი საკუთარი ხარჯებით გამოუყვანია მიმე მდგომარეობიდან. როგორც იტყვიან, ოჯახს აკლებდა და გუნდს აფინანსებდა. ასეთი გახლდათ მისი ცხოვრებისეული მონოდედა.

70-იანი წლების შუახანებში ყვარლის „დურუჯში“ გარკვეული პრობლემები შეიქმნა და გუნდი პირველი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში დაქვეითდა. რაიონის მამინდელმა ხელმძღვანელობამ უმაღ ზაურ ჩახნაშვილს უხმო და საგანგებოდ დაეკავებინა მისცა მდგომარეობის გამოსასწორებლად. მანაც ჩვეული ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი საქმეს და შესანიშნავი მებრძოლი კოლექტივი შექმნა, რომელიც მალევე დაბრუნდა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ეშელონში. სწორედ მაშინ გაიბრწყინეს ჩვენს გუნდში სიმურ ღონიადემ, თემურ ტალახაძემ, გივი

შალვა ნერსეშვილებმა, ოთარ ჩიხაშვილმა, გივი შევროშვილმა, დათო (თახლო) ავაშაშვილმა, თამაზ ჯანდიერმა და სხვებმა, ვისი ოსტატური თამაშით უზომო სიამოვნებას ანიჭებდა ფეხბურთის თაყვანისმცემლებს.

რაც მთავარია, 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან მანამდე, ვიდრე ჯანი და ღონე მოსდევდა და ვიდრე ცხოვრება აირეოდა, ზაურ ჩახნაშვილი ყოველთვის იდგა რაიონის საფეხბურთო ცხოვრების ავანგარდში. მას დღესაც მამინდელი, სიჭაბუკის დროინდელი გრძობით უყვარს ყვარლის ისტორიული ციხე-გალავანი და მის შემოგარენში მდებარე სტადიონი, სადაც დაეკავებდა და თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი – ყველაზე ლამაზი წლები გაატარა.

ასე შრომასა და სპორტულ ცხოვრებაში გაილია წლები და უნდა ითქვას, რომ ზაურ ჩახნაშვილმა ყველაფერი შეძლო ამ ნუთისოფელში: წარმატებული იყო სპორტშიც და შრომის ასპარეზზეც, შექმნა ლამაზი ქართული ოჯახი, ხარობდა თავისი მონა-



გარით – ერთადერთი ვაჟკაცით, შვილიშვილებით, შვილთაშვილებით. თუმცა, როგორც აკაკი ამბობს „გამზრდელში“ – მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა? ჰოდა, ამ ჭეშმარიტად ამაგდარ კაცს, სწორედ სიბერეში უმტყუნა ბედმა, როცა არსთა გამრიგემ, სულ ახლახანს, სწორედ ის ერთადერთი და ულამაზესი ვაჟკაცი – დათო ჩახნაშვილი გასტაცა ხელიდან და გაარდა ამ ნუთისოფელს... უფალმა სიმშვიდე ნუ მოაკლოს მის სამუდამო განსასვენებელს და ნათელში ამყოფოს მისი სული!

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ და ვუთანაგრძნობთ ზაურ ჩახნაშვილს, ქალბატონებს ნუნუს და ბელოს, მთელ ოჯახს, მოზარე ვართ მათი მწუხარებისა და ტკივილისა, აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო! ახლა ამ მწუხარებით და ტკივილიან სოფენით ცხოვრობს ზაურ ჩახნაშვილი, თუმცა უღმობელმა დრომ და ნუთისოფლის მუხანათობამ მაინც ვერ გატეხა, მომავალს იმედით შესცქერის და სჯერა, რომ ქვეყნისა და ქართველი ხალხის ზვალნიდელი დღე უკეთესი იქნება, საქართველო გამთლიანდება, ეკლესია განმტკიცდება, ეკონომიკა გაძლიერდება, კულტურა და სპორტიც შესაბამისად აღორძინდება და განვითარდება.

ნარსულიდან კი თორმე ენატრება, პირველ რიგში მაცურებლებითა და ფეხბურთის გულშემატკივრებით გადაჭედლი ყვარლის სტადიონი, ფენიქსივით მკვდრეთით აღმდგარი ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ძველებურად დაიქუხებს და სიხარულით აავსებს ათასობით გულშემატკივრის გულს!

ცხრა ათეული წლის გადასახედიან დღეს ბევრი რამ სულ სხვაგვარად ჩანს. მოსაგონარი და გასახსენებელი ძალზე ბევრია. ზოგი რამ, რაც თითქოს განვლილი წლების ბურუსში უნდა იყოს ჩაძირული, დღესაც ცხადად და მტკივნეულად წარმოგვიდგება თვალწინ. თუნდაც ახალგაზრდობის დაუფინყარი წლები, რომლებიც მძაფრად და დაუინებით მოგვანატრებს ხოლმე თავს. ეს მთელი ისტორიაა, რომელსაც ერთი საგაზეთო სტატია, რა თქმა უნდა, ვერ დაიტევს!

ისღა დაგვრჩენია, სულით და გულით მივულოცოთ ჩვენს საუკეთესო მეგობარსა და საყვარელ კაცს ზაურ ჩახნაშვილს დაბადების 88 წლისთავი და ვუსურვოთ კიდევ მრავალი წლების სიცოცხლე, მხნეობა, ჯანმრთელობა და ბევრი, ბევრი სიკეთე, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გახარება!

ალიმან ლაშაჩიშვილი

მაში, რომელიც 1950 წლის გაზაფხულზე ყვარლის სტადიონზე გაიმართა გარდაბნის რაიონის გუნდთან და ყვარლებმა 11:0 მოიგეს. შემდეგ კი გასულითი თამაში საგარეჯოში, სადაც ადგილობრივი გუნდი ასევე დიდი ანგარიშით დაამარცხეს – 6:0. ყვარლებთან იმ პირველ შემადგენლობაში თამაშობდნენ ზაურ ჩახნაშვილი (მეკარე), ლემიკა ხარატიშვილი, თენგიზ ოთარიშვილი, თემო მეტრეველი, დიმიტრი სეფაშვილი, ცაკო ცუკლაშვილი, მერაბ მეტრეველი, გივი ლლონტი, ოთარ ოთარიშვილი, კოტე ნინიევი, ლაქტო მაზანაშვილი, გურამ ღვინიაშვილი. დღეისათვის ამ შემადგენლობიდან მხოლოდ ზაურ ჩახნაშვილია ცოცხალთა შორის. ყველა დანარჩენი უკვე იმეცენიურ საუფლოში არიან გარდასულინი. ღმერთმა კურთხევა ნუ მოაკლოს და ნათელში ამყოფოს მათი სულები!

საინტერესოა, რომ 1953 წლიდან ყვარელთა მწვრთნელად მოიწვიეს თბილისის „დინამოს“ სახელგანთქმული მეკარე ალექსანდრე (მურა) დორიხოვი, რომელზეც ომამდე წლებში ლეგენდები დადიოდა საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა კიდევ უფრო დახვეწა სათამაშო ოსტატობა. 1954 წლის სეზონი ძალიან ძლიერად ჩაატარეს, მესამე ჯგუფში პირველი ადგილი დაისაკუთრეს და მოიპოვეს მეორე ჯგუფის საფეხური, რაც უდავოდ დიდი წარმატება იყო. ზაურ ჩახნაშვილი უკვე თავისი სპორტული ფორმის ზენიტში იყო. ამ დროისათვის საგრძნობლად შეიცვალა გუნდის შემადგენლობა, რომელიც ახალგაზრდა მოთამაშეებით შეივსო. ეს შემადგენლობა, ვინც ყვარლის ფეხბურთის პირველი წარმატება მოუტანა, ასეთი იყო: ზაურ ჩახნაშვილი (მეკარე, გუნდის კაპიტანი), სანდალა სეფაშვილი, ოთარ ქანდაურიშვილი, ლაქტო მაზანაშვილი, ბიძინა ქემოკლიძე, კაკო ბუჯიაშვილი, რამინ ლომსაძე, სადულა ქარსანაშვილი, ვაკე ლარიაშვილი, კოტე ნინიევი. ამ შემადგენლობიდანაც დღეისათვის მხოლოდ ზაურ ჩახნაშვილი შემორჩა ამ ნუთისოფელს.



გამარჯვების პარკში რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა



ყვარლის სატყეო მეურნეობისა და „სოკარ-ჯორჯია გაზი“ აღმოსავლეთის რეგიონულ ოფისთან მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გამარჯვების პარკი ათეული წლებია უპატრონოდ იყო მიტოვებული და სანაგვედ იყენებდნენ ზოგიერთი ავისმქნელები, რაც იერ-სახეს უკარგავდა ჩვენი ქალაქის ამ ულამაზეს ლოკაციას.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და გზისპირების სარეველა მცენარეებისაგან განმეინდას. აღნიშნული პარკის განახლება-რეაბილიტაციის პროექტი გასულ წელს დაუკვეთეს და გამოიხატეს საჭირო ფინანსები სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის.

დღეს გამარჯვების პარკი რეაბილიტირებულია და მნახველთა მოწონებას იმსახურებს.



ხ ე ლ ბ უ რ თ ი

რობა ბეჟანიშვილი ირლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეა



სასიხარულო ცნობა მოვიდა ირლანდიიდან, ყვარლის სასპორტო სკოლის აღზრდილი რობა ბეჟანიშვილი ხელბურთში ირლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

როდესაც დადგინდა ირლანდიაში გამგზავრება, რობა დაუკავშირდა დუბლინში ხელბურთის ფედერაციას და ჩასვლისთანავე მივიდა სინჯებზე. პირველივე ვარჯიშის შემდეგ აიყვანეს „BHC“-ში (დუბლინის ინტერნაციონალური ხელბურთის კლუბი) და ჩემპიონატზე, რომელიც ჩაატარა ირლანდიის ოლიმპიური ხელბურთის ასოციაცია „IOHA“, მისი კლუბი გახდა ჩემპიონი.

უკვე ორი წელია ამ კლუბში თამაშობს და წელს ჩემპიონატის დასასრულს რობა დაასახელეს ირლანდიის საუკეთესო მოთამაშედ. ყველა თამაშის წინ მოთელვაზე როდესაც გადის ის სიამაყით იცვამს მაისურს, რომელსაც „Georgia“ აწერია და ამაყი გრძობით, რომ ის საქართველოს შვილია, იწყებს მოთელვას.

რობა ბეჟანიშვილს არც მანამდე აკლდა სპორტული ტიტულები.

2007 წელს მონაწილეობა მიიღო ნორვეგიის საერთაშორისო სახელბურთო ფესტივალზე, სადაც რობა წარდგინილი იყო საქართველოს ნაკრების პირველ ნომრად თავის პოზიციაზე.

2008 წელს საქართველოს ჭაბუკთა ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, ხოლო 2010 წელს საქართველოს ახალგაზრდული ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი. 2012 წელს კვლავ საქართველოს უნივერსიადის ჩემპიონი და ბომბარდირია.

ამავე წელს კორდობაში ჩატარებულ ევროპის უნივერსიადის ჩემპიონი გახდა.

წლების განმავლობაში რობა ბეჟანიშვილი წარმატებით იცავდა საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას.

ფულოცავთ რობა ბეჟანიშვილს დაბადების დღეს და ვუსურვებთ წარმატებებს სპორტში და პირად ცხოვრებაში.

ალექსანდრა გიგილოშვილი



... ავისმქმნელები მკაცრად უნდა დაისჯონ



ქალაქ ყვარლის, 9 აპრილის სახელობის ბაღი, ერთ დროს მართლაც ლამაზად გამოიყურებოდა და ყველას უხაროდა იქ დასვენება. ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა, რომ ბავშვებს თუ უფროსებს კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილი ჰქონოდა. გაკეთდა ლამაზი შადრევანი, მოეწყო კარუსელები, სხვადასხვა გასართობი საშუალებები, მაგრამ რა?

ახლა რომ შეხვიდეთ და თვალი მოავლოთ იქაურობას, გული დაგწყდებათ. განადგურებულია ირგვლივ ყოველივე, არავითარი გასართობი აღარ არსებობს და საქონლის სასეირნო ადგილად ქცეულა.

საინტერესოა ვინ ჩაიდინა ასეთი ვანდალიზმი?

ჩვენო თანაქალაქელებო, ეს ყველაფერი თქვენთვის შეიქმნა, თქვენი ჯანსაღი ყოფა-ცხოვრებისა და კეთილდღეობისთვის. ამას მოფრთხილება უნდა. კარგი იქნებოდა, ავისმქმნელები და პორუტყვის პატრონები მკაცრად დაისჯონ, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდეს.

დალი ტატულიშვილი



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრა გიგილოშვილი
მონადგლე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ.ყვარალი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86